ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ-12/14127/14-16 05 06 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, კოჯრის ახალი გზა №7-ის მიმდებარედ (ნაკვ. №07/027), კოჯრის ახალი გზა №7-ში, კოჯრის ახალი გზა №5-ში და კოჯრის ახალი გზა №7-ის მიმდებარედ (ნაკვ. 07/026)-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №656580 25.04.2013წ.

შეცვლილია გრუნტის ნიშნულები, შეცვლილია და გაუქმებულია მეორე სინათლეები. ზოგიერთ ადგილას შეცვლილია ფასადის მოპირკეთება. ტერასებზე დამატებულია ლითონის მოაჯირები. შეცვლილია გამწოვი შახტების ფორმა, გაბარიტი და ზოგი დამატებულია. ფასადებზე შეცვლილია ღიობების გაბარიტი, რაოდენობა, ადგილმდებარეობა და ნახატი. ფასადებზე დამატებულია წყლის შემკრები მილები. ტერასაზე და აივანზე დამატებულია ლითონის კონსტრუქციები და პერგოლები.

„1–15“ ფასადზე: ნაწილობრივ შეცვლილია აივნების გაბარიტი და რაოდენობა. +0.00 ნიშნულზე 5-7 მონაკვეთში დამატებულია საჩრდილობელი, შეცვლილია ფილა და გაუქმებულია კიბე. 6^1-9^1 აივნებზე დამატებულია სვეტები.

„9^1-1“ ფასადზე: 1-2 მონაკვეთში შეცვლილია ლითონის კიბის მოწყობა. 1-2 მონაკვეთში არ არის მოწყობილი ტერასაზე ასასვლელი ლითონის კიბე, ხოლო 6-8 მონაკვეთში დამატებულია ლითონის კიბე. -6.50 ნიშნულზე 5^1-5^1 ღერძთან გაზრდილია სათავსოს გადახურვის გაბარიტი და შეცვლილია მასალა, ხოლო მის ქვეშ დამატებულია მინაბლოკის ღიობი. +8.02 ნიშნულზე დამატებულია რიგელები.

შენობის შიგნით -13.00 და -6.60 ნიშნულებზე იატაკის დონე არ არის მოწყობილი. -13.00 და -9.-0 ნიშნულებზე 6^1-6^1 ღერძზე კედელს და ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი. „9’-4“ შეცვლილია ფილის ფორმა. კიბე შებრუნებულია სარკისებურად. -3.30 ნიშნულზე „14-12“ მონაკვეთში შეცვლილია ფილის ფორმა. „6“-6“ და „8“-8“ ღერძებს შორის შემცირებული მანძილი 1.30მ-ით და შემცირებულია ფართი 22კვ.მ-ით. +0.00 ნიშნულზე „ბ-დ“ მონაკვეთში შეცვლილია ფილის ფორმა. +5.05 ნიშნულზე 3-5 მონაკვეთში დამატებულია კიბე, ბაქანი და ფართი მომატებულია 13 კვ.მ-ით. +6,60 ნიშნულზე „12-12“ ღერძზე გაუქმებულია ერთი კოლონა. +3.96 ნიშნულზე 10-12 მონაკვეთში კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი შეცვლილია კონფიგურაცია და მის თავზე ფილაში ღიობის ფორმა. შიდა კიბის საფეხურების რაოდენობა არ ემთხვევა საპროექტოს.

ბეტონის და ბლოკის კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული ფაქტურით. ზოგიერთ ადგილას შემცირებულია კედლების სიმ[illegible] შენობის გარეთ 12-12 ღერძზე [illegible] კოლონა. ღობის ნაწილი გასულია საკადასტრო წითელი საზღვრიდან.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის [illegible] მე-2 მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო

სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „თბილისის ხედს“, ალექსანდრე აბულაძეს, ქ. თბილისში, სექტორი მთაწმინდა, კოჯრის ახალი გზა №7-ის მიმდებარედ (ნაკვ. №07/027), კოჯრის ახალი გზა №7-ში, კოჯრის ახალი გზა №5-ში და კოჯრის ახალი გზა №7-ის მიმდებარედ (ნაკვ. 07/026)-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/141271194-16 07.05.2014წ; №12/141271194-16 15.05.2014წ და №12/141271194-16 22.05.2014წ განცხადებები.

უფროსის მოადგილე **ვ. მუკურიშვილი**